სიორენ კირკეგორი

ან/ან:

ნაწყვეტი ცხოვრებიდან

(ნაწილი პირველი)

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი, 2023

ნაწარმოები „ან/ან“ ატარებს ორგვარ ჟღერადობას ორი სხვადასხვა მთხრობელის მხრიდან. პირველ ნაწილში ახალგაზრდა ესთეტიკოსი მამაკაცი (რომელსაც უბრალოდ ჰქვია A), ხოლო მეორე ნაწილში – ეთიკური განმსჯელი, სახელად ვილჰელმი.

„ან/ან“ – დუალობის ეს შედეგრი გახლავთ შესანიშნავი გამოკვლევა იმ კონფლიქტისა ესთეტიკასა და ეთიკას შორის რომ არსებობს; ორივე მათგანი ირონიულად და მაცდურად განიხილავს ეპიკურ სიამოვნებებს – მთელი თავისი მჭევრმეტყველური ასახვით მორალური ყოფა-ცხოვრების მაღალი სათნოებებისა.

წიგნის პირველ ნაწილში ასახული ასპექტები არის „ან“ – ცხოვრების ესთეტიკური ჭვრეტა; ხოლო მეორე ნაწილი „ან“ – მისი ეთიკური აღქმა. ეს უკანასკნელი ეხება პიროვნული ჩამოყალიბების, თავდაჯერებულობისა და თვითრწმენის საკითხებს, რა ყოველივეც საბოლოოდ მიემართება ქორწინების თემას.

ნაწარმოების პრობლემის გადაწყვეტა მკითხველისათვის არის მინდობილი, ვინაიდან არ არსებობს არავითარი მესამე ნაწილი, სადაც კი შესაძლებელი იქნება, რომ ცხოვრებისეულ ბილიკზე რაიმე კონკრეტული ეტაპი წარმოჩნდეს.

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით:
PENGUIN BOOKS, 2004

სიორენ კირკეგორი
ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან (ნაწილი პირველი)

მთარგმნელი: რატი ბაინდურაშვილი
სამეცნიერო რედაქტორი: დავით ცომაია
რედაქტორი: გოგი სალიაშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2023
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-5454-5 (ორივე ნაწილის)
ISBN 978-9941-8-5455-2 (პირველი ნაწილის)

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვა 4
შედგება A მწერლის ნაშრომებისგან 7
DIAPSALMATA 20
ან/ან: ექსტაზური ლექცია 37
ეროტიკის უშუალო ეტაპები ან „მუსიკალური ეროტიკა“ 42
ანტიკური ტრაგედიის ანარეკლი თანამედროვე ტრაგედიაში 126
ჩრდილის სილუეტები 154
უბედურთა შორის უბედური 202
თესლბრუნვა 215
მაცდურის დღიურები 234
გამომცემლობა „აქტის“ მიერ გამოცემული წიგნები 389

მთარგმნელის წინასიტყვა

XIX საუკუნის თვალსაჩინო დანიელი თეოლოგი და ფილოსოფოსი სორენ აბი კირკეგორი დაიბადა 1813 წელს კოპენჰაგენში. იგი შვიდი დედმამიშვილიდან ყველაზე უმცროსი იყო. ჯერ კიდევ სიყმაწვილის ასაკში მოუხდა უამრავი ტკივილის გადატანა. ოცდაერთ წელსაც არ იყო მიტანებული, რომ გარდაეცვალა დედა, ორი ძმა და სამი და. ამას ემატებოდა მამის უსაზღვრო რელიგიური ფანატიზმი, რის გამოც სორენის ბავშვობა ძალზე უბედური და კარჩაკეტილი გამოდგა. სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა კოპენჰაგენის უნივერსიტეტში, სადაც თეოლოგიის საფუძვლიანად შესწავლას შეუდგა. ამავე პერიოდში დაინტერესდა ფილოსოფიითაც, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებად ახერხებდა მისი უსაზღვრო ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანის ჭეშმარიტი მიზანი. უნივერსიტეტში გატარებული შვიდწლეულის შემდეგ კირკეგორი ღიად დაუპირისპირდა კათოლიკური ეკლესიის დოგმებს. მას არ სურდა ისეთი ქრისტიანობის ქადაგება, რომელიც ილუზიებით იყო მოცული. კირკეგორის ცხოვრებაში ერთ-ერთ გარდამტეხ პერიოდს წარმოადგენს სატრფოსთან – რეგინე ოლსენთან, განშორება. საკუთარ ჩანაწერებში იგი ამბობს, რომ თანმდევმა მელანქოლიამ ქორწინებისთვის ყოვლად შეუფერებლად აქცია. ასე და ამგვარად, კირკეგორმა საკუთარი თავი მთლიანად წერას მიუძღვნა და, ბევრის აზრით, მისი შემოქმედების მუზა სწორედაც რომ სამარადჟამო სიყვარულის ობიექტი, რეგინე ოლსენი გახლდათ. მომდევნო ათი წლის განმავლობაში კირკეგორმა მრავალი ნაშრომი შექმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია: *„შიში და თრთოლა“, „ფილოსოფიური ფრაგმენტები“, „შიშის ცნება“, „სატანჯველის სახარება“* და *magnum opus „ან/ან“*. ცხოვრების მანძილზე დანიელმა თეოლოგმა სახელთან ერთად მრავალი ავის მოსურნეც გაიჩინა. განსაკუთრებით გამოსარჩევია ყოველკვირეულ გაზეთ „Corsaren“-თან მომხდარი სკანდალი, რის შემდეგაც მის ცხოვრებაში ყოველივემ რადიკალურად განსხვავებული სახე მიიღო. მის მიმართ არაერთგზის ხორციელდებოდა შეტევები, ყველაფერთან ერთად კრიტიკის ქარ-ცეცხლში ხვდებოდა მისი გარეგნობა, ხმა და, მათ შორის სიარულის მანერაც. მწერალი თავის ჩანაწერებში

შედგება A მწერლის ნაშრომებისგან

მაშ, ვნებანი წარმართნი არიან სულისა?
გონება კი ნათელღებული მხოლოდ?

ედუარდ იანგი[1]

შესავალი

„შინაგანი გარეგანია, გარეგანი კი – შინაგანი“. ძვირფასო მკითხველო, იქნებ შენც შეგიტანია ეჭვი ამ ესოდენ ცნობილი ფილოსოფიური გამოთქმის სისწორეში[2]. ეგებ, შენც გაჰფრთხილებიხარ იმ ბედნიერებითა თუ ტკივილით აღსავსე საიდუმლოს, რომელიც სხვისთვის გასაზიარებლად ზედმეტად ღირებული აღმოჩნდა. შესაძლოა, შენს ცხოვრებას ისეთ ადამიანებთანაც დაუკავშირებიხარ, რომლებიც შეგიმჩნევია, რომ შენი მოდგმისანი ყოფილან, თუმც მათგან საიდუმლო ვერც ძალით და ვერც მზაკვრობით დაგიტყუებია. შესაძლოა, არც შენ და არც შენს ცხოვრებას არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი არ შეესაბამება, თუმც მსგავსი ეჭვები შენთვის უცხო მაინც არ არის. მათ, ვითარცა სწრაფმავალ ლანდებს, შენი გონება არაერთხელ გადაუკვეთიათ. ამგვარი ეჭვი მოდის და მიდის, არავინ იცის, საიდან ჩნდება ან საით მიიჩქარის[3]. მე, ჩემი მხრივ, ფილოსოფიის ამ ეტაპზე ყოველთვის რაღაც ერეტიკული ზნის მქონე ვიყავი და, შესაბამისად, ადრევე შევეჩვიე საქმიანობას, უკეთესად რომ ვთქვა, საკუთარ გამოკვლევებსა და დაკვირვებებს. სიბრძნეს იმ მწერლებში ვეძიებდი, რომელთა ხედვებსაც ზემოთქმულ თემასთან დაკავშირებით ვიზიარებდი. მოკლედ, გავაკეთე ყველაფერი, რაც კი შემეძლო, რათა ფილოსოფიური ლიტერატურის მიერ დატოვებული ხვრელები ამომევსო.

---

1. იხ. *მეოთხე ღამე*, 629-30 სტროფები მე-18 საუკუნის ინგლისელი პოეტის, ედუარდ იანგის, წიგნში *ჩივილი ან ღამეული ფიქრები ცხოვრებაზე, სიკვდილი და უკვდავება*. კირკეგორის ტექსტში ტაეპები შეტრიალებულია, აქ კი თავდაპირველი სახითაა წარმოდგენილი.

2. იხ. *Hegel's Logic*, tr. William Wallace, Clarendon Press, Oxford, 1975, paras. 138ff., pp. 196ff.

3. შედ. სახარება იოანესი 3.8: „ქარი, სადაც სურს, ქრის, და გესმის მისი ხმა, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და საით მიდის; ასევეა სულის მიერ ყველა შობილიც“.

ნელ-ნელა სმენა ჩემს რჩეულ გრძნობად იქცა, ვინაიდან, მსგავსად ხმისა, რომელიც გარეგანის არაპროპორციულ შინაგან რაობას ამჟღავნებს, ყური არის ინსტრუმენტი, რითაც შინაგან ბუნებას აღვიქვამთ, ვიგებთ გრძნობას, რომელიც სულიერებას აქვს მითვისებული. როცა კი მათ შორის (თუ რა დავინახე და რა მოვისმინე) წინააღმდეგობას ვაწყდებოდი, ჩემი ეჭვები დასტურდებოდა, გამოკვლევისაკენ ლტოლვა კი იზრდებოდა. აღმსარებელი მონანულისგან სამანით არის განცალკევებული; იგი ვერ ხედავს, მხოლოდ ისმენს. მოსმენისას თანდათან შესაფერის გარეგნობას აყალიბებს, შესაბამისად, იგი თავიდან იცილებს წინააღმდეგობას. თუმცა მაშინ, როდესაც თან ისმენ და თან ხედავ, შენსა და მოსაუბრეს შორის კი სამანს მაინც აღიქვამ, ყველაფერი სხვანაირადაა. შედეგებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით ჩემი სადამკვირვებლო მცდელობები მრავალგვარი წარმატებით დასრულდა. ზოგჯერ იღბალი თან მახლდა, ზოგჯერ – არა, ამ გზაზე ნებისმიერი სარგებლის ნახვა კი კარგ იღბალზეა დამოკიდებული. თუმცა მე არასდროს დამიკარგავს გამოძიებათა გაგრძელების სურვილი. როგორც კი მოთმინების ფიალა პირამდე აივსებოდა, ჩემი მცდელობები მოულოდნელი გამართლებით გვირგვინდებოდა. კეთილი ფორტუნის სწორედ ამგვარმა უეცარმა ბიძგებმა ჩამიგდო ხელთ ის ფურცლები, რომელთა საჯაროდ წარდგენის პატივიც საკმაოდ საკვირველი გზით მერგო. ამ ფურცლებმა მომცეს შესაძლებლობა, განმეჭვრიტა იმ ორი ადამიანის ცხოვრება, რომელთაც გაამართლეს ჩემი ეჭვები იმის თაობაზე, რომ რეალურად გარეგანი – შინაგანი არ არის. ეს კონკრეტული ნაწერი იმ ორიდან მხოლოდ ერთს მიესადაგება. მისი გარეგნობა მისსავე შინაგან სულიერებას აბსოლუტურად ეწინააღმდეგება. გარკვეული კუთხით, ეს მეორე ადამიანსაც ეხება, რადგან მან რაღაც ორდინალური გარეგნობა ერთობ მრავლისმეტყველი სულიერების მიღმა გადამალა.

და მაინც, ამ ჩანაწერის გამო სჯობს ავხსნა, თუ საიდან გაჩნდა ეს ფურცლები ჩემს მფლობელობაში. დაახლოებით შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ, ქალაქში, მეორადი ნივთებით მოვაჭრესთან ისეთი საწერი მაგიდა შევნიშნე, რომელმაც ჩემი ყურადღება პირველი დანახვისთანავე მიიპყრო. მაგიდამ, რომელსაც არც სიახლე ეტყობოდა და არც თანამედროვე ოსტატის ნახელავი იყო, სავსებით დამატყვევა. ამ შთაბეჭდილების ახსნა შეიძლება ვერ მოვახერხო, მაგრამ მჯერა, რომ უმეტეს ადამიანს რაღაც მსგავსი ცხოვრებაში აუცილებლად ექნება განცდილი. დღე ისე არ გასულა, რომ მოვაჭრესთან და მის საწერ მაგიდასთან ჩავლისას მასზე თვალი არ დამრჩენოდა. თანდათანობით ჩემთვის საწერმა მაგიდამ გარკვეული ისტორია შეიძინა. მისი ნახვა აუცილებლობად მექცა. მაშინაც კი, როდესაც სხვა მარშრუტით სვლა იყო

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
3. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
9. სიორენ კირკეგორი – ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან (ნაწილი პირველი)

10. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და Id
11. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
12. ზიგმუნდ ფროიდი – ფსიქოანალიზის შესავალი
13. ზიგმუნდ ფროიდი – უკმაყოფილება კულტურით
14. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
15. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
16. ზიგმუნდ ფროიდი – ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

17. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
18. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

19. ბერტრან რასელი – ესეები
20. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული
22. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია

23. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
24. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
25. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

26. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
27. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
28. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
29. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
30. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
31. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

32. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
33. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
34. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
35. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

36. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

37. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
38. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

39. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
40. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
41. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
42. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

43. ოშო – ცნობიერების მზე
44. ოშო – საწყისთა საწყისი
45. ოშო – სიყვარულის ძალა
46. ოშო – რა არის მედიტაცია?
47. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

48. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
49. დ. ჰ. ლოურენსი – ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
50. დ. ჰ. ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

51. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
52. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

53. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
54. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

55. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
56. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
57. გიორგი გურჯიევი – შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
58. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
59. გიორგი გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის (წიგნი I-IV)

60. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა
61. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
62. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

63. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
64. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
65. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

66. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
67. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
68. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

69. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
70. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
71. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე
72. არმინ ნავაბი – რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი

73. ანი ბეზანტი – თეოსოფია
74. ანი ბეზანტი – ეზოტერული ქრისტიანობა თუ მცირე მისტერიები